ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №5/22

2022 წლის 24 მაისი

ქ. ფოთი

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,გ.ბ" ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, ,,ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის მე-20 მუხლისა და 25-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ბ" ქვეპუნქტის შესაბამისად, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

დამტკიცდეს თანდართული ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის დებულება.

მუხლი 2

ძალადაკარგულად გამოცხადდეს ,,ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ"ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 18 აგვისტოს № 14/17 დადგენილება.

მუხლი 3

დადგენილება ამოქმედდეს 2022 წლის 1 ივნისიდან.

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე — ალექსანდრე ტყებუჩავა